სახალხო გაზეთი

№ 874 შაბათი, 20 აპრილი 1913 წ. № 874

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, **თვეში** — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ 8 მთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი, ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გად იხადონ ნაწილობით **მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა ყოს გადახდილი: ხელისმოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **,,სახალხო გაზეთი''-ს კანტორაში,** სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**
3) **ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.**

ანტონ როსტომის ძე, ელისაბედ გიორგის ასული, ანეტა, ელენე და თამარ ანტონის ასულნი მაკალატიები, დავით როსაფის ძე და მარიამ ანტონის ასული მაჭავარიანები, ივანე გიორგის ძე და ნინო ანტონის ასული დავიდოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 21 აპრილს, დილის 11 საათზე, **ქ. გორში,** ოქონის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი: პირველი ორის—საყვარელი შვილის, მესამისა, მეოთხისა და მეხუთის—ძმისა და დანარჩენთა—მოყვრის, გორის გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფის

ალექსი ანტონის ძის მაკალატიას

სულის მოსახსენებლად. 223

მშობლები, ძმები და დანი ამით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 18 აპრილს, ორი წლის გარდაცვალების თავზედ, გადახდილ იქმნა წირვა სოფ. კულაშის მაცხოვრის ეკლესიაში ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის

კირილე ქრისტეფორეს ძის აბულაძის

სულის მოსახსენებლად. 234

ნინო ალექსის ასული ივანოვისა და ნათესავები გულითადის მწუხარებით აცხადებენ, რომ 19 აპრილს, დილის 9 საათზე, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ტფილისის პირველ გიმნაზიის მთავარი

იოსებ მიხეილის ძე დავიდოვი,

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, მიცვალებულს გამოასვენებენ ბინიდან, ანასტასიას ქუჩა, № 24, კვირას, დილის 9 საათზე, პირველ გიმნაზიის საყდარში, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 235

ქართული თეატრი

სადღესასწაულო რეპერტუარი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

კვირას, 21 აპრილს,

უკანასკნელი წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნება ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ტრაგიკოსის **სოფოკლეს** ორი ცნობილი ანტიური ტრაგედია ერთ საღამოს.

I **ედიპე მეფე** თარგ. კონ. ანდრონისა.

II **ანტიგონე** თარგმ. გ. გვაზავასი.

ედიპე მეფე—**ვ. გუნია.** ანტიგონე **ნ. დავითაშვილი.** ანტიგონეში **მეფე კრეონის** როლს შეასრულებს **ვ. გუნია.** რეჟისორი **კონ. ანდრონიკაშვილი.**

მონაწილეობს მსახიობთა ამხანაგობის მთელი დასი.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 1094

ანონსი: ხუთშაბათს, 25 აპრილს წარმოდგენილი იქნება **ი. გედევანიშვილის** ცნობილი პიესა **,,მსხვერპლი“**

ქართული თეატრი

სამშაბ., 23 აპრილს, დილით, ტფ. ქალთა უმაღლეს კურსებ. ლექტორი ბ-ნი **სარგის კაკაბაძე** წაიკითხავს საჯარო **ლექციას** ქართულად თემაზე:

,,შოთა რუსთაველის ცხოვრების დრო“

(ორ ნაწილად). ლექციის შემდეგ შესდგება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ (გვარები ანბანზე): ბ-ნნი იუსტინე აბულაძე, სერგეი გორგაძე, დავით კარიჭაშვილი და მოსე ჯ. ნაშვილი. თავმჯდომარედ იქნება ბ-ნი გრიგოლ რობაქიძე. შემოსავალი, გადადებულია ,,ვეფხის-ტყაოსნის“ ახალ ტექსტის გამოსაცემად.

დასაწყ. დილის 11 ს. ბილეთები იყიდება. 218

ქ. გორი

სამშაბათს, 23 აპრილს, გორის საკრებულოს დარბაზში გაიმართება **საინტერესო-ორგინალური სალიტერატურო-სამუსიკო**

საღამო-მეჯლისი

სამს დიდ განყოფილებად.

I. **კიტა აბაშიძე** წაიკითხავს ლექციას: **,,ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე“.** II. **დავ. კლდიაშვილი**—ესკიზი, **თ. რაზიკაშვილი**—ესკიზი, **ნ. გოცირიძე** ტანისამოსსა და გრიმებში წაიკითხავს სომხურ სცენებს. III. კომპოზიტორი **ნ. პ. სულხანიშვილი** დაუკრავს როიალზე. **ი. შაშიანელი** იმღერებს არიას: ,,დაიგვიანეს“, ო რა ,,პატარა კახიდან“ მუსიკა სულხანიშვილისა, ,,მო, ფანდურო, შემოგჩივლო“, სიტყვები ს. ფაშალიშვილისა, მუსიკა სულხანიშვილისა. **გ. ახოსპირელი**—ლექსები, **გ. ქუჩიშვილი**—ლექსები. **ს. ფაშალიშვილი** — ლექსები ადგილები: ფასი ჩვეულებრივია, დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. გამგენი **ივ. დიმ. კვალიაშვილი. ს. გძელიშვილი.** ბილეთები ამ თავითვე იყიდება, ქალაქის აფთიაქში ივ. კვალიაშვილთან, საურთიერთო ნდობის ბანკში ს. ჩუტკერაშვილთან, ილ. სესიაშვილის მაღაზიაში და სანდრო გძელიშვილთან. 1161

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ კვირას, 5 მაისს, მოხდება **ილიას ძეგლის** კურთხევა, მთაწმინდის ეკლესიის გალავანში. 1664.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

შაბათს, 20 აპრილს, ს. ხ. სახ. არს. ქართ. სახ. წარ. მჭართ. წრის მიერ წარმ. იქნება: მსახ ქ-ნნთ თ. გოგოლაშვილისა და ელენ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით

ღალატი შაირუა, ტრაგიკული ოპერ. 2 მ. I,am-სა.

მეგობრული შარჟი

აშენდა საქართველო, უკანასკნელი მოქ. **კ. ფოცხვერაშვილისა.**

II) **დარისპანის გასაჭირი.** სცენა 1 მოქ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ა. ათიანი, **თ. გოგოლაშვილი,** მარგ. გოგოლაშვილი, **ელ. ჩერქეზიშვილი, პიერეტა** და ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი: ამბ. ივერიელი, ა. კავსაძე, ვ. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, რომანიშვილი, რ. სალაყაია, გ. სვანელი, სავიცკი, გ. ფრონისპირელი. ა. ქანქაშიძე, ალ. წუწუნავა, მ. ჭიაურელი, ნ. ჭანკვეტაძე და გ. ჯაბ ური. ✦ **დასაწ. საღ. 8 ს.** ადგილ. ფასი 5—50 კ. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2 მდე და საღ. 6—8 საათ. შემდეგი წარმოდგენა 24 აპრილს ,,ებრაელები“. 1160 რეჟისორი **ალ. წუწუნავა** სანაშემწე **ს ჭანკვეტაძე.** ,,წრის“ ადმინისტ.

ახალი კლუბი

შაბათს, 20 აპრილს, 1919 წ. „გვირილობა“ დღეს ქართულ სათეატრო დარბაზში, ნაცვლად საოჯახო საღამოსი, გაიმართება

ჩვეულებრივი სინემატოგრაფი

დაუკრავს კლუბის ორკესტრი.

ნაწილი შემოსავლისა გადაიდება ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების სასარგებლოდ. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1162

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ბენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღლაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურგიული სნეულებანი	**მარკევიჩი ვ დ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ზ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და შობიარობის სნეულებანი	**ექიმი-ქალი ვერბიცკა-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ი. ვ.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულხანოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. **ფონდოევი, გ. ხ.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ., ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალების სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **,,606“ 914 და წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. **წ. 1035**

ამერიკულ ვაზის სანერგეები

,,გიორგის შრომა“

დამზადებულია მრავალი ვაზის ნამყენი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ევროპიული ჯიშებისა. ასი 5 მანეთი. შეიძლება ნახევარის ფასდადებითაც გაიგზავნოს. მისამართი:

Ст. Гоми, Георгію Бетановичу Татіеву. 1142

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, რადიუმ** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: [illegible] ბებუთოვის ქ., № 23 (განთვის ქ. კუთხე). **ტელეფ. № 7—93.** 97

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

ბუფეტი ,,სატივო“

ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.

✦ **აზიური საჭმელები ახალის სანოვაგისა** ✦

ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის. **ფასები ძლიერ ზომიერია.** 1114

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და ღიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ექიმი შ. ა. მიქელაძე.

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ქუთაისში ვ. თ. ტყეშელაშვილი.

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყარლანოვის ქ. № 20. ჳ. 1022

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ., № 94,** კიროჩნი ქუჩის ახლოს, ფოსტის განყოფი. პირდაპირ. 102

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 69

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ზ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.

ვოროზიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606“-ით. 1053

სურათებიანი დამატება კვირის ნაცვლად რიგდება დღევანდელ ნომართან ერთად.

გვირილობა

დღე კაცთმოყვარეობისა

ჭლექი, ულმობელი სენი კაცობრიობისა, ქალაქური ცხოვრების განვითარების მუდმივი თანამგზავრი, გასაოცარის სისწრაფით ვრცელდება და მუსრს ავლებს კაცობრიობას. ჭლექთან ბრძოლა ყველა კულტურულ ქვეყნებში სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა საზრუნავ საგნად არის გადაქცეული. ჩვენი ქვეყანა ერთი იმისთანა ქვეყანათაგანია, სადაც, მალიარიის წყალობით, ჭლექიც მძვინვარებს. ამ საშინელ სენთან ბრძოლა პალიატივებით არა კმარა. საჭიროა ძირითადი გაუმჯობესება ცხოვრების პირობებისა, საჭიროა ფართოდ დაყენებული საერთო საზოგადოებრივი ბრძოლა იმ მიზეზების წინაამდეგ, რომელნიც ხელს უწყობენ ჭლექის გავრცელებას.

მაგრამ ამ საერთო პირობების გაუმჯობესების მოლოდინში მაინც გულ-ხელ დაკრეფილი არ უნდა ვისხდეთ. პალიატიურ ზომასაც შეუძლიან დაიხსნას ულმობელ სენის კლანჭებიდან ათასი ავადმყოფი, განკურნებისა და დახმარების მომლოდინე. თვითოეული გადარჩენილი ავადმყოფი, შემსუბუქება მისი უბედურებისა, შემატებაა საზოგადოებისა, და ამ უკანასკნელმაც ამისთვის არაფერი არ უნდა დაიშუროს.

გვირილობა კაცთმოყვარეობის დღეა. დაჩაგრულთა ბედმა და სიყვარულმა ერთხელ მაინც შეაერთოს ადამიანები, ერთხელ მაინც განმსჭვალოს თანასწორის გრძნობით სნეულთადმი.

ჭლექი საზოგადოებრივი ბოროტებაა და მის წინაალმდეგ ბრძოლაშიაც მთელმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

მოწოდება

ჭლექთან მებრძოლი კავკასიის საზოგადოებისა.

20 აპრილი გვირილობის დღეა. დღეს მთელს რუსეთში სწირავენ თავის წვლილს ჭლექის წინაალმდეგ საბრძოლველად. ჭლექისაგან განკურნება შესაძლებელია! შესაძლებელია მისგან თავის დაცვა! ამისთვის საჭიროა ცოდნა, საშუალება და საზოგადოების დახმარება! გაუმართეთ ხელი ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოებას! ამ საზოგადოებამ: 1) გახსნა ამბულატორია და სამზრუნველო ჭლექიანებისათვის ქ. ტფილისში, 2) აშენებს აბასთუმანში ცესარევიჩისა და დიდი მთავრის, გიორგი ალექსანდრეს ძის სახელობაზე სანატორიუმს და 3) აწყობს საზაფხულო აგარაკს სუსტი ბავშვებისათვის. იყიდეთ დღეს გვირილა!!! იგი ყველგან იყიდება. შესწირეთ ვისაც რამდენი შეგიძლიანთ!

◆

დღეს, 20 აპრილს, გვირილობა

პროგრამა

„გვირილობის“ დღისა 20 აპრილს

დღეს დილა-ადრიან დაიწყება „გვირილის“ გაყიდვა ყველგან, ქალაქში და მის განაპირა უბნებში. გამყიდველებს თან აქვთ განსაკუთრებული, დანომრილ-დაბეჭდილი (საზოგადოების ბეჭდით) ყულაბები და კალათები ყვავილებით. ყოველ გამყიდველ ქალს აქვს ღია ფურცელი შემოწირულების შეგროვების ნებართვისა, ამიტომ გთხოვთ ნდობით მოეკიდოთ მათ. „გვირილის“ ხელზე გაყიდვის გარდა, ქალაქის სხვა და სხვა ადგილს მოწყობილია მაგიდები და კიოსკები იმავე მიზნისთვის: ერევნის მოედანზე, ვორონცოვის ძეგლთან, სახაზინო თეატრთან, არტისტულ საზოგადოებასთან, ვერის დაღმართზე, მიხეილისა და კიროჩნი ქუჩის ჯვარედინთან, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე და სხვ.

გარდა ამისა, გამყიდველები შევლენ კანცელარიებსა, საზოგ. დაწესებულებებსა, ბანკებსა და საზოგადოდ ისეთ ადგილებში, სადაც ხალხი იყრის თავს. საღამოს კი—თეატრებსა, კლუბებსა, სინემატოგრაფებსა და რესტორანებში.

ყველგან უფასოდ დაარიგებენ ქართულსა, რუსულსა, სომხურსა და თათრულ ენებზე მრავლად დაბეჭდილ წიგნაკებს, ფირფიტებს და ფურცლებს ჭლექისა და მისგან თავდაცვის საშუალებათა შესახებ.

ცენტრალური სადგომი, სადაც თავმოყრილია საგამგებლო ნაწილი და გვირილა-ყულაბების საწყობი, არის ქალაქის გამგეობის შენობა. აქ მოიტანენ ფულიან ყულაბებს, რომელთაც მეორე დილამდე დარაჯს მიუჩენენ. მეორე დღეს კი გამგეობის წევრებისა, მფარველ-მანდილოსნებისა, პრესისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლთა დასწრებით ყულაბებს გახსნიან და დაითვლიან სახელმწიფო ბანკის ნაფიცი მოანგარიშენი. გვირილის გაყიდვის მოსაწყობად ქალაქი დაყოფილია რამდენიმე უბნად, რომელთან გამგებლობენ: I უბანს პრინცესა ყაჯარი და მ. მინკევიჩი—შტაბ-სადგომი ოლგის ქუჩაზე № 9; II უბანს მ. ანანოვისა—გოლოვინის და ჭავჭავაძის ქ. კუთხე № 22; III უბანს კნ. ნინო დადიშქელიანისა და კ. ხატისოვისა—ქალაქის გამგეობა; IV უბანს ე. ავთანდილოვისა-გრიბოედოვის ქ. № 26; V უბანს ე. ადელხანოვისა—ადელხანოვის ქარხანა; VI უბნისა ა. მიშლაევსკისა—ქსენიევის ქ. № 5; VII უბ. ე. პეტროპავლოვსკისა და მონინისა—მეჟევოი და ელისაბედის ქ. № 31: IX და X უბ. ა. მიშლაევსკისა; XI და XII უბ. ბარონესა ა. როპპი და მ. სურჟინისა.

გამგეებად არიან გამგეობის წევრები, რომელთაც ამგვარად გაინაწილეს მოვალეობანი: მოწესრიგებად უმთავრეს სადგომში—კნ. მ. თუმანიშვილისა, ალ. ხატისოვი და ექ. შალვა მიქელაძე; ყვავილების გამგედ—ე. ოზეროვისა.

უბნების მოწესრიგეებად: 1—ექ. ვ. ღამბაშიძე; 3 და 4—ექ, ი. გოპაძე; 5, 6, 7 და 8—ექ. მ. ვესელოვზოროვი; 9, 10 და 2—ექ. ლ. მონინი; 12 და 11—ექ. ე. ფედოროვი.

ყულაბების გამგე და ხელმძღვანელი — ხაზინადარი საზოგადოებისა, ექ. ნ. უმიკაშვილი. წიგნაკებისა, ფირფიტებისა და ფურცლების გავრცელების გამგე—ექ. გ. სტეპანოვი; ხოლო ლექციებისა—ექ. ა. მუხარინსკი.

ამბები

ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება სთხოვს ყველას, ვისაც ჰსურს გაეცნოს გვირილობის დღის წარსული წლების ანგარიშს, მოითხოვოს ანგარიშები კიოსკში, გამყიდველებთან. ანგარიში ყველას უსასყიდლოდ ეძლევა.

დღეს ქალაქის სხვა და სხვა ადგილას დაუკრავს სამხედრო და მოსწავლეთა ორკესტრი. გარდა ამისა, გაიმართება დიდებული კორტეჟი გვირილებით მორთული ავტომობილებისა და ეტლებისა. საუკეთესოდ მორთულ ეტლს 2 პრიზი მიეცემა.

ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას აზრადა აქვს წელს საზაფხულო კოლონია ცემში გაგზავნოს სუსტი ფილტვებიანი ბავშვები. დღევანდელი დღის შემოსავალზეა დამოკიდებული, რამდენი ბავშვი გაიგზავნება ცემში.

დღეს ნაძალადევის თეატრში ექიმი ე. გ. ფედოროვი წაიკითხავს ლექციას—„ჭლექი და მასთან ბრძოლა“. ლექცია დაიწყება ნაშუადღევის 2 საათზე და ყველასათვის უფასოა. ლექციის დროს ნაჩვენები იქნება ბუნდოვანი სურათები.

მოწოდება გორელებისადმი

20 აპრილი წმიდა დღეა!..

კაცობრიობის ერთი უსაშინელესი მტერი ჭლექია.

ყველამ კარგად იცით შედეგი ჭლექისა, ყველას გინახავთ და ჰხედავთ ქუჩაში, სკოლაში, სოფლად თუ ქალაქად, მის მსხვერპლთ. ჩამოყვითლებულნი, უსიცოცხლონი დაიარებიან და თვის ჩამქრალი თვალით თითქოს საყვედურს უცხადებენ მეცნიერებას უძლურებისათვის, საყვედურს უცხადებენ საზოგადოებას გულგრილობისათვის, საყვედურს უცხადებენ ბუნებას ასე მწარედ, სასტიკად დასჯისათვის...

მოახლოვდება გაზაფხული... სჩნდება, იშლება, იფურჩქნება, ჰხარობს სიცოცხლე, ბუნება ეძლევა ზეიმს, შვებას, ნეტარებას და ეს უბედურნი კი უკურნებელ სენის სარეცელზე დნებიან ვით ცვილი, ჰქრებიან ვით სანთელნი და ერთი მეორეზე ეშურებიან გულში, გაუმაძღარ, შავბნელ სამარეს...

სხვაგან, სხვა სახელმწიფოებში თვით საზოგადოება იღებს ამ სენის წინააღმდეგ რადიკალურ ზომებს და საკმაოდაც შეამცირეს მის მსხვერპლთა პროცენტი. თუმცა გვიან, მაგრამ რუსეთშიაც მიაქციეს ამას ყურადღება და საზოგადოებამ ხელი გამოიღო. დღეს 20 აპრილი წმიდა დღედ არის აღიარებული. ამ დღეს ყოველწლივ, ყველგან, ყოველ ქალაქში ჰმართავენ ჭლექთან ბრძოლის დღეს, გვირილობას და შემოსულ ფულით აარსებენ უფასო ამბულატორიებს, სანატორიუმებს ჭლექიანთათვის...

ეს კარგი ჩვეულება ჩვენშიაც გადმოინერგა. გორში შარშან პირველად გაიმართა ეს დღესასწაული და საზოგადოებამაც საკმაო თანაგრძნობა გამოიჩინა.

უფრო მეტი თანაგრძნობა, მეტი კაცთმოყვარული გრძნობის გამოჩენა გვმართებს გორელებს... გორში ხომ ისეა მოდებული ჭლექი, უფრო მაგრა იკიდებს ფეხს და შეუბრალებლად სცელავს და სცელავს თვის მსხვერპლთ ეს ბოროტი სენი!..

მდიდარი და ღარიბი, ქალი და კაცი, ვაჭარი და ხელოსანი, მასწავლებელი და მოსწავლე, ერი და ბერი ამ ერთ დღეს მაინც შეერთდით ერთი გრძნობით, ერთის სურვილით, ერთის გულის ტკივილით და თქვენი წვლილი შეიტანით იმ თანხის გასაძლიერებლად, იმ წმინდა საქმის გასამაგრებლად, რომელიც უნდა დაედოს საფუძვლად ხალხის ჯანმრთელობას...

ნუ დაიშურებთ სამ კაპეიკს!..

დაიმშვენეთ გული სიცოცხლის, სიხარულის თეთრი ემბლემებით—თეთრი ყვავილით!..

20 აპრილი წმიდა დღეა, ჭლექთან ბრძოლის დღეა!!.. **სანგანიძე.**

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობამ დაადგინა, 21 აპრილს, შუადღის 12 საათზე, სახალხო სახლში სალიტერატურო-სამუსიკო დილა გამართოს გარშინის ხსოვნის აღსანიშნავად.

✦ **ტრამვაის ახლავე გამოსყიდვა** ხელსაყრელად სცნო ქალაქის საბჭოს სატრამვაიო, საბიუჯეტო-საფინანსო, სატეხნიკო და სარევიზიო კომისიების შეერთებულმა კრებამ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ამ საგნის შესახებ მთელი მასალა, ხსენებულ კომისიათა მოსაზრებებით, ქალაქის საბჭოს 22 აპრილის კრებას წარუდგინოს.

✦ **ფრინველების გამოფენას,** რომელიც 22 აპრილამდე გასტანს ხალხი ბლომად ესწრება და ყიდულობს სხვა და სხვა ჯიშის ფრინველებს. 18 აპრილს საექსპერტო კომისიამ საჩუქრები დაუნიშნა საუკეთესო ექსპონატების პატრონთ.

✦ **სამღვთო სჯულის მასწავლებელნი საქალაქო სკოლებში.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ქალაქის საბჭოს 22 აპრილის კრებას განსახილველად წარუდგინოს საკითხი: აქვს თუ არა სასულიერო მთავრობას უფლება, საქალაქო სკოლებში სამღვთო სჯულის მასწავლებელნი თავის ნებით დანიშნოს და დაითხოვოს და თუ არა აქვს, მაშინ ვის ეკუთვნის ეს უფლება.

✦ **საელექტრონო განათება.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს: უარჰყოს წინადადებანი სხვა და სხვა ფირმისა, რომელიც ქალაქისაგან საელექტრონო კონცესიას თხოულობენ და შეუდგეს ქალაქის ცენტრალურ საელექტრონო სადგურის გაუმჯობესებასა და გაფართოვებას.

✦ **ბიბლიოთეკა.** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობას, გახსნას სოფელ ჩაილურში (სიღნაღის მაზრა) ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომლის პასუხისმგებელ გამგედ იქნება კნეინა ე. ა. ჩერქეზიშვილისა.

✦ **ნაძალადევისა და ლოტკის გორის მცხოვრებლებმა,** რომელთაც ნება მიეცათ იჯარით აღებული საქალაქო მიწები გამოისყიდონ, შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა მათ გაუგრძელონ მიწების გამოსყიდვის ვადა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, საკითხი განსახილველად ქალაქის საბჭოს წარუდგინოს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 22 აპრილს მოხდება. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს საკითხს გარდაცვლილ ექიმ ს. ს. ისთამანოვის ოჯახისთვის შეწევნის აღმოჩენის შესახებ და საგანმანათლებლო-საქველმოქმედო საზოგადოებებისთვის შემწეობის მიცემის წესებს, რომელიც ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა.

✦ **საიურიდიო საზოგადოების** წევრთა წლიური კრება დღეს საღამოს მოხდება. კრებაზე განაგრძობენ კამათს ნაფიც ვექილის ს. ჯაფარიძის მიერ წაკითხულ რეფერატის გამო, რომელიც შეეხებოდა გლეხთა დროებით ვალდებულობის მოსპობის საკითხს.

შეცდომის გასწორება გუშინდელ №-ში შემდეგი შეცდომები გაგვეპარა: მეთაურში დაბეჭდილია: **გერმანია** წინააღმდეგი საკითხის ამნაირად დაყენებისა; უნდა იყოს **გერმანი** და სხვა, ქართულ პრესაში **რიხტერის** მაგიერ დაბეჭდილია ვირხოვი.

სომხური პრესა

ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი დაშნაკცუტუნის პარტიის შესახებ „ჰორიზონმა“ უყურადღებოდ არ დასტოვა. გადაბეჭდა ჩვენი წერილიდან ზოგიერთი ადგილები და შემდეგ ნომერში მოათავსა პასუხი, რომელიც აქვე მოგვყავს:

„ქართველ თავად-აზნაურობის ინტერესების დამცველი და მაქებელი „სახალხო გაზეთი“ თავის მე-869-ე ნომერში თოჯინასა ჰქსოვს, რათა ამით შეაშინოს „ის რამდენიმე სომხური გაზეთი“, რომელნიც დღემდე გამომხატველნი ყოფილან სომხურ პოლიტიკურ პარტიის „დაშნაკციუთიუნის“ პროგრამისა. ახალი არ არის „სახალხო გაზეთის“ წერის ამგვარი ფორმა: იგი ასპარეზზე გამოსულა ყოველთვის, როდესაც ამა თუ იმ მიზეზით ანგარიში ჰქონია ამ „რამდენიმე სომხურ გაზეთთან“. ხოლო ეს ფორმა კი ის ყოფილა, რომ ყოველთვის წამოუყენებიათ „დაშნაკციუთიუნის“ სახელი და ყოველისფერი მასთან დაუკავშირებიათ. ვსთქვათ, ბრძოლის ამგვარ ფორმას ის უპირატესობა აქვს, რომ ამით პირველადვე მძიმე პირობებში აყენებენ მოწინააღმდეგე „რამდენიმე გაზეთს“, რადგანაც კარგად უწყიან, რომ, ჯერ ერთი, აწინდელ პოლიტიკურ ატმოსფერაში იმდენადაც ადვილი არ არის დაშნაკციუთიუნის გარშემო თავისუფლად კამათის გამართვა და, მეორე, რაც უმთავრესია, რუსეთში არ **არსებობს არც ერთი სომხური გაზეთი,** რომელიც გამომხატველი ყოფილიყოს დაშნაკციუთიუნისა. მაგრამ ჩვენ გვესმის, „სახალხო გაზეთი“ „რამდენიმე სომხური გაზეთის“ თქმით ვისკენ უთითებს და რის წინააღმდეგ იქნევს შუბსა.

„სახალხო გაზეთმა“ კარგად იცის, რომ ტფილისში არსებობს სომხური ორი გაზეთი; ერთი იმათგანი ყველასთან დუმილით ინახავს სოლიდარობას, ხოლო მეორე, „ჰორიზონი“, რომელიც სოლიდარობას დუმილში და პირფერობაში კი არა ჰხედავს, არამედ საქმეში და არც ერთ შემთხვევას არ სტოვებს თავის ძლიერ ხმის ასამაღლებლად ყოველთვის, როდესაც ფეხქვეშ ითელება საზოგადოების ინტერესი და როდესაც ხალხის სიყვარულის ყალბი ნიღაბის ქვეშ ჰფარავენ კერძო პირებისა და ჯგუფების ინტერესებს, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ

ჭლექი და მასთან ბრძოლა

ადამიანის ერთ უსასტიკეს და უსაშინელეს მტრად უნდა ჩაითვალოს ის სნეულება, რომელზედაც ჩვენ დღეს გვექნება მკითხველთან საუბარი და რომელსაც ტუბერკულოზს ანუ ქართულად ჭლექს უწოდებენ. ტუბერკულოზი გადამდები სნეულებაა და მთელს მსოფლიოში არის გავრცელებული. მეშვიდედი მთელი კაცობრიობისა ამ საშინელი სენით იხოცება. მარტო რუსეთის იმპერიაში ყოველ წლიურად შვიდასი ათასამდე კაცი კვდება ამ სენით. შედარებით მასთან სხვა გადამდები სნეულებანი ბევრად ნაკლებად საშიშნი არიან და ნაკლებ ზიანსაც აყენებენ ადამიანს. ეს ადვილი ასახსნელიც არის. სხვა გადამდები სნეულება, მაგალითად, ქუნთრუშა, დიფტერიტი, სახადი, თვით ხოლერა და სხვა, გაჩნდება ამა თუ იმ ადგილას, რამდენიმე კვირის, სულ დიდი, რამდენიმე თვის განმავლობაში მძვინვარებს. ტუბერკულოზი კი მუდმივად მძვინვარებს. მისთვის არც დრო არის, არც ვადა და არც ადგილი. სადაც კი სცხოვრობს ადამიანი, იქ ეს სენიც იჩენს თავსა. ამიტომ იგი დიდ ზიანს აყენებს კაცობრიობას და უსაშინელესი მტერი არის ადამიანისა.

ტუბერკულოზი გადამდები სნეულებაა. ყოველი გადამდები სნეულება კი გამოწვეული არის ერთგვარ მეტად პატარა არსთა მიერ, რომელთა დანახვა მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება და რომელთაც მიკრობებს უწოდებენ. ყოველ გადამდებ სნეულებას იწვევს განსაკუთრებული, მისთვის სპეციფიური, მიკრობი. ცხადი იყო, რომ ტუბერკულოზსაც თავისი მიკრობი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ მეცნიერებმა დიდხანს ვერ აღმოაჩინეს ეს მიკრობი. მხოლოდ 1882 წელს გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა, რობერტ კოხმა, ჭლექიან ავადმყოფთა ფილტვებში მიკროსკოპის საშუალებით აღმოაჩინა ერთგვარი მიკრობი, შესახედავად ჯოხისებური. იმის დასამტკიცებლად, რომ მართლაც ეს მიკრობი არის ტუბერკულოზის მიკრობი, კოხმა იგი შეუშხაპუნა ცხოველებს, რომელთაც ამის შემდეგ ისეთივე ტუბერკულოზი დაემართათ, როგორიც ადამიანს ემართება და სჭირს. ამ გვარად დამტკიცდა, რომ კოხის მიერ აღმოჩენილი მიკრობი არის ტუბერკულოზის ნამდვილი მიკრობი. კოხის პატივსაცემად მას კოხის ბაცილი უწოდეს. ტუბერკულოზის ბაცილას ადამიანის სხვა და სხვა ორგანოში შეუძლიან დაბინადრდეს და გამოიწვიოს ამ ორგანოთა დაავადება—მაგალითად, ტვინის ანთება, ძვლებისა, ნაწლევებისა, ყელისა და აბკისა ტუბერკულოზი, კისრის ლიმფატიურ ნასკვთა ტუბერკულოზი ანუ როგორც ქართულად უწოდებენ დურბელი და სხვა, მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად ადამიანს ფილტვების ტუბერკულოზი ემართება და სწორედ ფილტვების ტუბერკულოზი არის მასთან ყველაზედ უფრო საშიშიც. როგორ მოჰყვება ხოლმე ჩვენს სხეულში ტუბერკულოზის ბაცილი?

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ეს სნეულება ძლიერ არის გავრცელებული. მრავალი ადამიანია მით დაავადმყოფებული. ყველამ კარგად უწყის, რომ ჭლექიანი ხშირად ახველებს, ნახველს იღებს და აფურთხებს. აი სწორედ ეს ნახველი წარმოადგენს დიდ საფრთხეს, ვინაიდან მასში შესაძლებელია რამდენიმე მილიონი ტუბერკულოზის ბაცილი იყვეს. ნახველი შრება და მტვრად იქცევა. ამ მტვერში კი ტუბერკულოზის ბაცილებს თვეობით შეუძლიანთ იცოცხლონ, განსაკუთრებით თუ ადგილი ნესტიანი არის და თუ მას მზის სხივები არა ხვდება. მტვერი ჰაერშია და აქედან ედება ჭერს, იატაკს, ავეჯეულობას და ტანისამოსს. ამ მტვერს ადამიანი ისუნთქავს და ამგვარად შესაძლებელია ტუბერკულოზით ავად გახდეს. გარდა ადამიანისა ტუბერკულოზი გავრცელებულია სხვა და სხვა ცხოველთა შორის. განსაკუთრებით ხშირად იგი ემართება ძროხებს. ტუბერკულოზიან ძროხათა რძეში მრავალი ბაცილია ტუბერკულოზისა და თუ ამ რძეს ადამიანი, განსაკუთრებით ბავშვი, აუდუღარად ხმარობს შესაძლებელია ტუბერკულოზით ავად გახდეს. ნადუღ რძეში კი ბაცილები იხოცებიან და აღარ არიან საშიშნი.

საბედნიეროდ, ტუბერკულოზი ყველა იმ პირთ კი არ ემართება, ვინც ტუბერკულოზის ბაცილები მტვერთან ერთად ჩაისუნთქა ან და საჭმელთან ან რძესთან ერთად ჩაჰყლაპა. უმთავრესად ავადა ხდებიან სუსტი აგებულობის პატრონნი. ჯანმრთელნი და მაგარი აგებულობის პატრონნი ძლიერ ძვირად ავადმყოფობენ ამ სენით. უმთავრესად ამ ავადმყოფობით სნეულდებიან ისინი, ვინც ლოთობს და გარყვნილობს, ვინც ცუდ პირობებში სცხოვრობს, ნესტიანსა და ბნელს ოთახში და ვიწრობაში, ვინც სისუფთავეს არ იცავს, ვინც ცუდათა სჭამს, საკმაოდ არ იკვებება, ვინც აუტანელ მუშაობას ეწევა. ძლიერ ადვილად სნეულდებიან ტუბერკულოზით ისინი, ვინც ჭლექიან დედისაგან ან მამისაგან არიან დაბადებულნი. საერთოდ, უნდა ვთქვათ, რომ ჭლექი უმთავრესად ღარიბებს ემართება, ვინაიდან მდიდრებს საშუალება აქვთ კარგ პირობებში იცხოვრონ, კარგი ბინა, დაიქირავონ, კარგად იკვებონ. ღარიბთაგან ქალაქის მცხოვრებლები უფრო ხშირად ხდებიან ავად, ვიდრე სოფლელები, რადგან გლეხები მუშაობის დროს წმინდა ჰაერზედ არიან, ქალაქის მშრომელი ხალხი კი ოთხ კედელ შუა არის გამომწყვდეული მუშაობის დროს, ხშირად უმზეო და ბნელ სადგომში, მტვერიან და ნესტიან ოთახში. ქალაქში მცხოვრებთაგან ყველაზედ უფრო ხშირად ჭლექით ავადა ხდებიან ასოთ-ამწყობნი, რომელნიც მუშაობის დროს იძულებულნი არიან მტვერი ისუნთქონ, შემდეგ ხარაზები და თერძები, რომელნიც მუდმივ წელში მოხრილნი მუშაობენ ოთხ კედელს შუა; ყველაზედ ნაკლებად კი ჭლექით ავადა ხდებიან მეეტლეები და კონდუქტორები, რომელნიც, როგორც ყველას მოეხსენება, მთელს დღეს სუფთა ჰაერზედ ატარებენ.

ტუბერკულოზი თითქმის შეუმჩნევლად შეეპარება ადამიანს, და ეს უკანასკნელი ხშირად პირველად ვერც კი ამჩნევს თავის დასნეულებას. ავადმყოფობის პირველ საფეხურში, ჭლექიანები ვერავითარ ტკივილს ვერა ჰგრძნობენ, მხოლოდ მალე იღლებიან მუშაობის დროსა და სიარულში, ადვილად ცივდებიან, მადას ჰკარგავენ და ცოტა-ცოტას ახველებენ, განსაკუთრებით დილაობითა და საღამობით. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ უწყებს მათ საღამობით სიცხის მიცემას, ხველებაც მატულობს და ღამ ღამობით ოფლიც აქვთ ხოლმე, უსიამოვნო და დამასუსტებელი. ხშირად ნახველს სისხლი გამოჰყვება; ხანდახან კი წმინდა სისხლს გადმოაფურთხებენ და გადმოახველებენ ესეთი ავადმყოფნი. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ჭლექით დასნეულებული სრულიად კარგადა ჰგრძნობს თავს, თავის დაავადების შესახებ იჭვიც არა აქვს და მხოლოდ ეგეთი სისხლის გადმოხველება დააფიქრებს მას და მიამართვინებს ექიმებს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფი შეიძლება სრულიად გასაღდეს, დღესდღეობით ამის დამამტკიცებელი საბუთი მრავალია, თუ კი წამლობას დაიწყებს და ისე შეიცვლის თავის ცხოვრების პირობებს, როგორც ამას ჰიგიენა და ჭლექის წამლობა მოითხოვს. უფრო ხშირად, ჩვენდა საუბედუროდ, უცოდინარობისა გამო ან უქონლობისა და უგნურობისა, ტუბერკულოზი განაგრძობს თვის საშინელ მუშაობას. ავადმყოფობა აქ ორგვარად შეიძლება განგრძელდეს. შედარებით ძვირად ავადმყოფობა საშინელის სისწრაფით მატულობს და განაგრძობს თავის განვითარებას, სწამლავს დასნეულებულს სისხლს, საშინელ განადგურებას იწვევს სნეულის ფილტვებში და სულ მოკლე ხანში ასალმებს მას წუთისოფელს. ასეთ ჭლექს—მსწრაფლ ჭლექს უწოდებენ, უფრო ხშირად კი ჭლექი ქრონიკულ ხასიათს იღებს. სნეულება ხან მატულობს, ხან შეჩერდება, ავადმყოფი ხან შედარებით კარგადა ჰგრძნობს თავს, ხან კიდევ ცუდათა ხდება და ხან ერთ დონეზეა. ამგვარ ავადმყოფს შეუძლიან რამდენიმე წელიც იცოცხლოს. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ჭლექი გამოწვეულია ადამიანის სხეულზე ჭლექის ბაცილების დაბინადრების გამო. ჭლექი შესაძლებელია გაუჩნდეს სულ სხვა და სხვა ორგანოთ ადამიანისა, მაგრამ ყველაზედ უფრო ხშირი და მასთან ფრიად საშიშიც არის ფილტვების ჭლექი. ჭლექის ბაცილი, ჩაჰყვება რა მტვერთან ერთად ჩასუნქთულ ჰაერს ფილტვებში, დაიწყებს იქ საშინელის სისწრაფით გამრავლებას, თუ კი ხელსაწყო პირობები შეხვდა. ერთი ბაცილიდან შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში 16 მილიონი ბაცილა გაჩნდეს. მაგრამ მიკრობთა წინააღმდეგ ბუნებამ ადამიანს მიანიჭა დასაცველი იარაღიც, რომლითაც იგი ებრძოლება მათ და შესაძლებელია გამარჯვებულიც გამოვიდეს ამ ბრძოლიდან. ასეთი დამცველი ადამიანისა მიკრობებისაგან არის მისი სისხლი, სისხლის შრატი და, ეგრედ წოდებული, უფერო ბურთულები სისხლისა ანუ ლეიკოციტები. სადაც კი მიკრობები გაჩნდება ადამიანის სხეულში, იქ ლეიკოციტებიც მოიყრიან თავს და დაუწყებენ მიკრობებს ბრძოლას, ლამობენ მათ ჩაყლაპვას და მონელებას. სისხლის შრატში კიდევ არის სხვა და სხვა გვარი ნივთიერება, რომელთაგან ზოგი არღვევს და ადნობს მიკრობებს, ზოგი კიდევ მათ მიერ შემუშავებულ შხამს სპობს. მთელი სიცოცხლე დასნეულებულ ადამიანისა—ბრძოლაა მიკრობთა წინააღმდეგ. თუ ადამიანი საღი და ჯანმრთელი იყო წინეთ, მაშინ მისი დასაცავი იარაღიც—სისხლის შრატი და ლეიკოციტები—მედგარ წინააღმდეგობას უწევენ მიკრობებს და შესაძლებელია გაიმარჯვონ კიდეც მათზე. მაგრამ თუ იგი სუსტი არის, დაავადებული სხვა სნეულებათა მიერ ან დასუსტებული ცუდი ცხოვრებისა, სიღარიბისა და უჭმელობისაგან, მაშინ მისი ბუნების მიერ მინიჭებული დასაცავი იარაღიც სუსტია და მიკრობებს ვეღარ უმკლავდება.

ჭლექის მიკრობი ორგვარად მოქმედობს ადამიანზე. ერთის მხრით იგი იმუშავებს შხამს, რომელიც სწამლავს ადამიანის სისხლს და საშინლად ასუსტებს სნეულს. მეორეს მხრით იგი მრავლდება ფილტვებში, არღვევს ფილტვების უჯრედებს და ქსოვილებს და ამგვარად თანდათან სპობს ადამიანისათვის ამ ფრიად საჭირო ორგანოს, რომლითაც იგი სუნთქავს. თუ შხამი მძლავრი არის და ადამიანი კი დასუსტებული, მაშინ იგი ვერ ებრძოლება ჭლექს დამალე ესალმება წუთისოფელს (მსწრაფლი ჭლექი) და თუ ადამიანი საღი არის და ჯანმრთელი, მაშინ იგი თავისი დასაცველი იარაღის საშუალებით დიდ წინააღმდეგობას უწევს მიკრობებს და მათ მიერ შემუშავებულ შხამს. მაშინ ჭლექი ქრონიკულ ხასიათს ღებულობს და ნელ-ნელა არღვევს ადამიანის ფილტვებს. ბოლოს და ბოლოს ეგეთი ქრონიკულ ჭლექიანის ფილტვებში ნამდვილი გვირაბებია ნაცვლად ფილტვების ქსოვილებისა და რაღა გასაკვირია თუ ადამიანი მოკლებული ამ ფრიად საჭირო ორგანოს ვეღარა სძლებს და კვდება.

ზემოხსენებულიდან მკითხველი უნდა დარწმუნებულიყო, რომ ჭლექი არა მარტო პირადი უბედურებაა ავადმყოფისა და მისი ჭირისუფლებისა, არამედ საზოგადოებრივი საფრთხეა, რომელთანაც სასტიკი ბრძოლაა საჭირო. თუ გავიხსენებთ რამდენ კაცს უსპობს სიცოცხლეს ყოველ-წლიურად ეს საშინელი სნეულება, თუ ამას დავუმატებთ, რომ ჭლექით იხოცებიან უმთავრესად ოცი წლიდან ორმოც წლამდის, ე. ი. იმ ასაკში, როდესაც ადამიანს მუშაობა უნდა შეეძლოს, ნათელი იქნება ჩვენთვის რამდენს ჰკარგავს ქვეყანა ჭლექისაგან. ამიტომ ამ სენთან ბრძოლაც უპირველესად ყოვ-

ხალხის მისწრაფებასთან. მკითხველებმა უნდა იცოდნენ და იგრძნონ „სახალხო გაზეთის" ამ გვარი შფოთის ამტეხი ხრიკი, რადგანაც ყველამ იცის, რომ მხოლოდ გუშინ იგივე გაზეთი ვრცელის წერილებით და მეთაურებით ილაშქრებდა „ჰორიზონის" წინააღმდეგ და აღშფოთებას აცხადებდა, იმის გამო, რომ „ჰორიზონი" ვითომც უადგილოდ ქართველ მოღვაწეებს და ხალხის ინტერესებისთვის მზრუნველებს „შოვინისტად" ალიარებს. დღეს კი, „ჰორიზონის" წინააღმდეგ ბრძოლის დროს, „სახალხო გაზეთის" პუბლიცისტები „დაშნაკციუთიუნის" პარტიას „რამდენიმე სომხურ გაზეთს" უკავშირებენ...

„სახალხო გაზეთმა" აღმოაჩინა, რომ ერთ სანეტარო დროს დაშნაკციუთიუნის პარტია მოქმედებდა ქართველ ფედერალისტებთან ერთად და თანაუგრძნობდა „საქართველოს ავტონომიის" იდეას, მაშინ როდესაც მათი მოადგილენი (?) არა საკადრისს და უაზრო ფრაზებს ისვრიან ჩვენი შოვინიზმის შესახებ. ეს საკმარისი არ არის. ქართველი სოციალ-დემოკრატებსაც კი უერთდებიან, როგორც ეს მოხდა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს. ისინი შეუერთდნენ ერთ იმისთანა პარტიას, რომელიც მტერია საქართველოს ავტონომიისა.

„დაშნაკცაკანები არა თუ აღარ იჩენენ ქართველთა უმთავრეს ეროვნულ მისწრაფებას— სწერს „სახ. გაზეთი"—არამედ, პირიქით, მათ ეროვნულ ავტონომიისათვის წინწაწეულ ბრძოლას დასცინიან". გულუბრყვილო მკითხველს, ალბად, გაუკვირდება და იკითხავს, რომელია ეს უვარგისი „რამდენიმე სომხური გაზეთი", რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ავტონომიას. როდესაც გამოიკვლევს, აღმოაჩენს, რომ ეს გაზეთი „ჰორიზონია", რომელმაც თავისი რამდენიმე მეთაური წერილით გაილაშქრა ქართველ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ და აღმოაჩინა, რომ პოლიტეხნიკუმის საკითხში მათ უფრო საკუთარი ჯიბეების ინტერესი აქვთ გათვალისწინებული, ვიდრე ტფილისის მცხოვრებელთა ინტერესები. აი მთელი ის საბუთი, რომელსაც „სახალხო გაზეთის" პუბლიცისტები ქართველთა ავტონომიასთან აკავშირებენ და ცდილობენ ორ მეზობელ ერთა შორის განხეთქილება გამოიწვიონ.

მაგრამ ამ ფორმებითაც ჩვენ გვგონია „სახალხო გაზეთი" ვერ მიაღწევს თავის მიზანს, ვინაიდან „ჰორიზონი" წინააღმდეგი არ არის საქართველოს ავტონომიისა. „ჰორიზონი" მხოლოდ წინააღმდეგია თავად-აზნაურობის მადისა, რომელიც ხალხთმოყვარეობის ფარდის ქვეშ იმალება".

ასეთია „ჰორიზონის" ჰრელი პასუხი, რომელზედაც სხვა დროს მოვილაპარაკებთ.

ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების გამოფენა

ფრიად საინტერესო გამოფენა იყო არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში. ეს გამოფენა უმეტესად შესდგება ექიმის ბლიუმენტალის დიაგრამებისაგან. მაგრამ ეს დიაგრამები ფრიად საყურადღებოა: თავდაპირველად აქ ფრიად საინტერესოა იმ უჩინარ ცხოველთა გამრავლება, რომელიც სპობს ადამიანის ორგანიზმს და რომელსაც სხვა და სხვა ავადმყოფობის მიკრობი ჰქვიან. ერთი ასეთი მიკრობისაგან 24 საათის განმავლობაში 16 მილიონი ბაქტერია ჩნდება. ერთი გირვანქა ასეთი ბაქტერიებისა რომ ავიღოთ მათი რიცხვი შეადგენს 267,789 მილიონ ბაქტერიას თითო ბაქტრია კი 0,000,000,000,000,131,33 მისხალს იწონის. ერთ წვეთ წყალში ათასი მილიონი ასეთი ბაქტერია ეტევა, რასაკვირველია ჭლექი სხვა და სხვა ადგილებში სხვანაირად არის გავრცელებული. მაგალითად ჭლექის ავადმყოფთა სიკვდილი ასეთ პროცენტს შეადგენს: ნოვგოროდში — 34,07, პეტერბურგში—30,04, ასტრახანში—26,03, ნიკოლაევში 25,30, ოდესაში—28,09, ვარშავაში—24,07, ტფილისში 22,09, ვილნოში—19, 6 და ბაქოში—16,06. მოსკოვს უკანასკნელი ადგილი უჭირავს, რაც დამოკიდებულია ცხოვრების საუკეთესო პირობებზე. მაგალითად, თუ ქალაქი საუკეთესოდ არის მოწყობილი, კარგი არხები, წყალსადენები და სხვა თუ არის, იქ გარდაცვლილთა პროცენტი მცირეა. ამ მხრივ ს.-პეტერბურგი ყველაზე უკანა სდგას და პროცენტი თანდათან მატულობს, მოსკოვში კი იკლებს. იმ დროს, თუ ქალაქი კარგად არის ამ მხრივ მოწყობილი და ჭლექით ავადმყოფთა პროცენტი კი დიდია, ეს მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ ქალაქი ძლიერ მჭიდროდ არის დასახლებული და შენობები ძლიერ შეჯგუფულია. მაგალითად პარიზში, შედარებით ევროპის სხვა ქალაქებთან, ჭლექით გაცილებით მეტი კვდება. ეს პროცენტი 35,5 აღემატება; ვენაში სადაც სხვა გადამდები სენი თითქმის სრულიად არ არსებობს ჭლექით ავადმყოფთა მაინც დიდი პროცენტია.

ჭლექით უმეტეს შემთხვევაში კვდებიან 20-დან 50 წლამდე. მამაკაცთა რიცხვი გაცილებით დიდია, ვიდრე დედა-კაცთა. ღარიბები, რასაკვირველია, უფრო ხშირად ხდებიან ავად და ჰკვდებიან, ვიდრე შეძლებულები. მაგრამ მდაბიო ხალხში ჭლექით ავადმყოფთა პროცენტი გაცილებით დიდია, ვიდრე სოფლისა. კერძოდ მეურნეები ნაკლებად ხდებიან ავად და უმეტესად კი ქალაქის მრეწველნი. ქალაქში მომუშავეთა პროფესიების მიხედვით ყოველ ჭლექიანთა გარდაცვლის პროცენტი ასეთია: ასოთამწყობნი 11,5%, თერძები და ხარაზები—9,6, მეჩითქები—7,02, მრეცხავები და თეთრეულების მკერავი ქალები—6,02, მეჯირხავები—5,8, ლითონზე მომუშავენი—5,7, სანოვაგის მკეთებელნი—4,8, დურგლები —4,1, მოსამსახურეები—3,5, მეეტლეები და მეჯინიბეები—3,1.

რასაკვირველია ქალაქში ჭლექით გაცილებით მეტი პროცენტია ავადმყოფი და აგრეთვე კვდება კიდეც, ვიდრე ქალაქ გარეთ, რადგან სუფთა ჰაერს დიდი მნიშვნელობა აქვს. ქალაქ გარეთაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო მაღალია ადგილი, ჭლექით მით უფრო ცოტა პროცენტი ხდება ავად. მაგალითად 100—200 საჟ. სიმაღლეზე ავად ხდება 21,6%, 200—350 საჟ. 19, 350—500 საჟ. 17,2, 500—700 საჟ. 17, და იმაზე მეტი — 10 და ნაკლები. ბინის სივ-კარგეს რასაკვირველია დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც ოთახში მეტი ჰაერია, მით პროცენტი ნაკლებია. თუ ოთახში ოთხი ფანჯარაა პროცენტი თექვსმეტს არ აღემატება და თუ თითოა მაშინ პროცენტი 50-ს აღემატება. ციხეებში მაგალითად და თავისუფალ ჰაერზე ასეთი დამოკიდებულებაა.

10,000 მცხოვრებზე თუ თავისუფალ მდგომარეობაში 32 კაცი და 20 ქალი ხდება ავად, ციხეში ამავე მდგომარეობაში 52 კაცი და 34,5 ქალი ხდება. რასაკვირველი თუ თითო ოთახში თითო კაცია ჩამწყვდეული, პროცენტი ავადმყოფთა უფრო ნაკლებია, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ კამერაში რამდენიმე კაცია ჩამწყვდეული. სხვათა შორის საინტერესოა ეს გარემოება, რომ ზღვაზე კაცი უფრო ძნელად ხდება ავად ვიდრე ხმელეთზე და გარდაცვლილთა პროცენტიც ზღვაზე ნაკლებია. გამოფენაზე ფრიად საყურადღებო ცნობებია სკოლაში ჭლექის გავრცელების შესახებ, ლოთობასა და ჭლექს დამოკიდებულების შესახება და სხვა. აქვეა მოყვანილი, თუ რაოდენი თანხა შეიკრიბა გვირილობის დღეს რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში და რა გაკეთდა ამ ფულით. 1911 წელს ქ. ტფილისში სულ 6000 მანეთი შეგროვილა და ამ გვარად ტფილისს მე 24 ადგილი ეჭირა, შარშან კი თანხამ საოცრად იმატა: შეგროვდა 16,886 მანეთი და 62 კაპ., ასე რომ ტფილისმა მეექვსე ადგილი დაიკავა. იმედია რომ ტფილისის მოქალაქენი დღესაც არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს და ამ ორიოდე გროშით მაინც გამოუცხადებენ თანაგრძნობას იმ უბედურთ, რომელთა სახელი „ჭლექიანია".

გლეხთა დროებითი ვალდებულების გაუქმება

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურებს დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლების გამო ერგებათ 4.917,864 მანეთი; ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურებს — 2,444,146 მანეთი. მაზრების მიხედვით მიწის რაოდენობა, რომელიც გლეხთა ხელში უნდა გადავიდეს, შემდეგ ციფრებით გამოიხატება: 1. ახალქალაქის მაზრაში გლეხობა შეიძენს 23,689 დესეტინას; 2. ახალციხისაში —18,035 დ.; 3. ტფილისის მაზ.— 10.296 დ.; 4. ბორჩალოს მაზ.—6,677 დ.; 5. გორის მაზ.—20866 დ. 6. დუშეთის მაზრ.—9,541 დ.; 7. სიღნაღის მაზ.—4,975 დ.; 8. თელავის მაზ. —3,266 დ. 9. თიანეთის მაზ.—1.155 დესეტინას.

ტფილისის გუბერნიაში სულ მთლად გლეხების ხელში გადავა 98.500 დესეტინა მიწა. თავად-აზნაურობა მიიღებს ფულებს: ახალქალაქის მაზ.—1.119,559 მან.; ახალციხის მაზ. 1.085,252 მ.; ტფილისის მაზ — 572,259 მან.; ბორჩალოს მაზ.— 353,868 მ.; გორის მაზ.—1.026,275 დუშეთის მაზ.—346,717 მ.; სიღნაღის მაზ.—281,566 მ.; თელავის მაზ. —169,700 მან. თიანეთის მაზრ.— 54,698 მ. ქუთაისის გუბერნიაში გლეხთა ხელში გადავა: 1. ქუთაისის მაზ.—4,674 დ.; 2. შორაპნის მაზ. —7,870 დ., 3. ლეჩხუმის მაზ.—6,550 დესეტ. 4. სენაკის მაზ.—8,908 დ.; 5. ოზურგეთის მაზ.—821 დ.; 6. ზუგდიდის მაზ.—24,446 დ.; 7. რაჭის მაზ.—1,975 დ. სულ ერთად 57,244 დეს.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა მიიღებს: ქუთაისის მაზ.— 312,285 მ.; შორაპნის მაზ.—337,785 მ.; ლეჩხუმისა—321,770 მ.; სენაკისა —319,641 მ.; ოზურგეთის მაზ.— 46,921 მ; ზუგდიდის მაზ.—993,901 მ.; რაჭის მაზ.—111,841 მან.

აფორიზმები არჩილ ჯორჯაძისა

„საეროვნო პრობლემის გარშემო"

(1907—9 წ. ტ. I)

დღეს ეროვნული პრობლემა არა მარტო თეორიულ და „რომანტიულ" ინტერესს წარმოადგენს, არამედ სამკვდრო სასიცოცხლო საგანს, იმისთანა რამსაგანს, რომელიც ჰყოფს ქართველ ინტელიგენციას ორ დიდ ბანაკად, ორ მთავარ ბანაკად.

◆

დღეს ნაციონალური პრობლემა... ჩვენი ცხოვრების ცენტრალურ პრობლემად გახდა და მასზეა მიპყრობილი ქვეყნის ყურადღება.

მცირე შენიშვნა

ზოგიერთ ქალაქების საბჭოს დადგენილებით მაისის ბოლოში, მოწაფეების დათხოვნის დროს დასაწყისს საქალაქო სკოლებში უნდა გაიმართოს დღესასწაული განსვენებულის პედაგოგის და უანგარო მამულიშვილის **იაკობ გოგებაშვილის** სახსოვრად, ამ დღესასწაულს მოწაფეთა გარდა, მშობლებიც დაესწრებიან. უეჭველია ამ სიმპატიურ აზრს სიამოვნებით მიეგებებიან სხვა სახალხო სკოლებიც და უფრო კი. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები და ამ სახით ჩვენი მხცოვანი პედაგოგისა და ქვეყნის მოამაგის სახელს უკვდავს ჰყვენ მოზარდ თაობათა ხსოვნაში. მხოლოდ, ჩვენის აზრით ფრიად საჭირო იქნება განსვენებული იაკობის საყმაწვილო წიგნაკებთან ერთად, რომლის დარიგებასაც მოწაფეებისათვის ფიქრობენ, დაურიგონ იაკობის სურათიც რომლის დამზადებას ჰკისრულობს ჟურნალ „განათლების" რედაქცია. თითო საშუალო ზომის სურათი ბრისტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი გაგზავნით ღირება **ორი შაური** რომლის გადახდა არც მოწაფეებისთვის იქნება საძნელო და იაკობის სურათს კი ყოველ ოჯახში დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება.

„განათლების" რედაქცია სთხოვს მსურველს დროზე დაიკვეთონ სურათები და შეატყობინონ თუ ვის რამდენი ცალი დასჭირდება, რომ სურათების დამზადების შემდეგ დაუყოვნებლივ გაეგზავნოს. სურათების დაკვეთა შეიძლება ფასდადებითაც.

ვთხოვთ სხვა ქართულ ჟურნალ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს მცირე შენიშვნა. **ლ. ბოცვაძე.**

დეპეშები

დეპეშათა პეტერბ. სააგენტო

18 აპრილი.

ბალკანეთის ომი

ლონდონი. მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ სკუტარის აღება მოხდა უმსხვერპლოდ ორივე მხარესი. იგი შემდეგის შეთანხმებით დაეთმო ჩერნოგორიას: ესად-ფაშა გადის სკუტარიდან ჯარით, ბაირაღებით და იარაღით, გარდა საალყო არტილერიისა. იგი გამოცხადებულია ალბანეთის ავტონომიის მთავრად სულთანის სუვერენიტეტის ქვეშ. ჩერნოგორიის მეფე მოვალეა აღიაროს ესად-ფაშა ალბანეთის მთავრად; ესად-ფაშა უთმობს ჩერნოგორიას სკუტარს, დრინის მიდამოებამდე. ესად-ფაშა გაემართა ელბასარსა და ტირანში. იგი მოლაპარაკებას გაჰმართავს ვალონაში მყოფ ოსმალეთის ჯარის უფროსთან—ჯავიდ-ფაშასთან. შეთანხმება მოხდა ესად-ფაშასა და ნიკოლოზ მეფის შორის.

ომი და სახელმწიფონი

ბუდაპეშტი. გაზეთების უმრავლესობას მოსწონს ავსტრია-ჰუნგრეთის გაბედული მოქმედება. „აზუისაგ"-ი ამბობს: ხორვატების, სერბიელების და სლოვაკების ოცნებანი მაშინ განხორციელდებოდა, თუ ავსტრია-ჰუნგრეთი დღევანდელ კრიზისში დამარცხებას განიცდიდა. „პესტერლოიდ"-ის აზრით სკუტარის საკითხში მთავარი ბრალი სერბიას მიუძღვის. „პესტი-ნაპლო" ჩერნოგორიასთან ომს შეუძლებლად სთვლის: კაპიტალისტური სახელმწიფონი— საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი აუწერელის შიშით უყურებენ იმ აზრს, რომ სკუტარის გულისთვის ომი ასტყდეს. ბერტჰოლდს არავითარი საფიქრებელი არა აქვს რა დამოუკიდებელ მოქმედებაზე. მადლობის მეტი არა ეთქმის რა ავსტრია-ჰუნგრეთს, რომ კულტუროსანმა სახელმწიფოებმა ომი აუკრძალეს ავსტრია-ჰუნგრეთსა. ჰუნგრეთის ამხედრება ჩერნოგორიის და საზოგადოდ სამხრეთელ თავისუფალ სლავიანთა წინააღმდეგ გაუგებარია. რა საქმე აქვს ჰუნგრეთის სუსტ მრეწველობას სკუტართან და ჩერნოგორი-

---

ლისა საზოგადოებრივ მოვალეობა—მოვალეობა იმ საზოგადოებრივ დაწესებულ ბათა, რომელნიც ხალხის ჯანმრთელობაზე უნდა ზრუნავდნენ—სახელმწიფოთა, ერობათა, ქალაქის თვით-მმართველობათა და სხ.

საზოგადოებრივ ბრძოლაში პირველი ადგილი უკავია ხალხის ფართო წრეების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობას და ხალხში განათლების შეტანას. სადაც ხალხი განათლებულია, იქ ჭლექთან ბრძოლაც უფრო ადვილია, ვინაიდან ხალხის ფართო წრეებს შეგნებული აქვთ, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისათვის ჭლექი და როგორ შეიძლება მასთან ბრძოლა. აგრეთვე საჭიროა არის სახელმწიფოთა და თვით-მმართველობათა მხრით ზრუნვა, რომ შემცირებულ იქმნეს სიღარიბე და სიღატაკე ხალხში, რადგან ჭლექი სწორედ რომ ღარიბებში უფრო გავრცელებული. რა თქმა უნდა, ეხლანდელ პირობებში ყველას გამდიდრება შეუძლებელია, მაგრამ უმიწა-წყლო გლეხთა და უმუშევართა რიცხვის შემცირება შესაძლებელიც არის და საჭიროც. გარდა ამისა შემოღებული უნდა იყოს გლეხთა დაზღვევა სახელმწიფოსა და მეპატრონეთა ხარჯით ავადმყოფობისაგან, როგორც ეს გერმანიაში და ინგლისში არის განხორციელებული. იქ თითქმის არც ერთი დაავადმყოფებული მუშა არ რჩება უსაზრდოდ, ვინაიდან იგი გაჯანსაღებამდის რამდენიმე ფულს იღებს დამზღვევ საზოგადოებისაგან და თვით დამზღვევი საზოგადოებები სცდილობენ ისეთ პირობებში ჩააყენონ დასნეულებული მუშა, ისე უწამლონ მას, რომ რაც შეიძლება მალე გამოკეთდეს, გამრთელდეს და მუშაობას დაუბრუნდეს. და მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ინგლისში და გერმანიაში საოცარის სისწრაფით შემცირდა ჭლექიანთა რიცხვი.

ქალაქებში საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ქალაქის სისუფთავეს და სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებას. უსათუოდ ყოველ ქალაქში უნდა იყოს გაყვანილი წყალსადენი და მოწყობილი კანალიზაცია. ქალაქის მიდამოებზე და თავისუფალ ადგილზე უნდა ბაღები იყოს გაშენებული და საერთოდ უნდა ირგვებოდეს ეზოებში და ქუჩების გასწვრივ ხეები და მცენარეულობა. ამით ჰაერი გასუფთავდება და ცოტათი მაინც მიუახლოვდება სოფლის ჰაერს. სოფელში კი ჭლექი ისე არა მძვინვარებს, როგორც ქალაქში. ქუჩები ქალაქებში ფართო უნდა იყოს და განიერი. სახლების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს ქუჩის სიგანეს. მაშინ მზის სხივები ჩასწვდება სახლების ქვედა სართულებს, სადაც უფრო ხშირად ღარიბები ბინადრობენ, და ბნელ ოთახებში სინათლეს შეიტანს. მზის სხივები კი საუკეთესო დეზინფექციაა. გარდა ამისა, ქალაქის თვითმმართველობა უნდა ეცადოს ქალაქში მცხოვრებ ღარიბ ნაწილისათვის იაფ-ფასიანი ჰიგიენური სადგომები გააკეთოს. ამით იგი დაიხსნის ღარიბ მცხოვრებთ სახლის პატრონთა გაუმაძღარ მადისაგან და ბნელ და ნესტიან სადგომებისაგან. საქართველოში არის კიდევ ორი პირობა, რომელიც ხელს უწყობს ჩვენში ჭლექის გავრცელებას და რომელთანაც საჭიროა სასტიკი ბრძოლა. სახეში მაქვს ჩვენში ჩვეულებად მიღებული უზომო ღვინის სმა და მეორეც ძლიერ გავრცელებული ციებ-ცხელება ანუ მალარია. ღვინის უზომო სმა ხელს უწყობს ადამიანის დასუსტებას და დასუსტებულ ადამიანს ხომ ჭლექიც ადვილად დაემართება. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა სტატისტიკური ცნობები, შეკრებილი საფრანგეთში, სადაც, როგორც ყველას მოეხსენება, ღვინის წარმოება ძლიერ გავრცელებულია. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ იმ ოლქში, სადაც მეტს ღვინოს ხმარობენ, ტუბერკულოზიც უფრო ხშირია (იხ. დღევანდელი დამატება). ამიტომ საჭიროა, ხალხში შეგნების შეტანა, რომ ღვინო და მისი უზომოდ სმა, როგორც ჩვენში იციან ხოლმე, ადამიანისათვის მავნებელია და საზიანო.

როგორც ზევით იყო ნათქვამი, ჭლექი სოფელში უფრო ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე ქალაქებში. მაგრამ ჩვენს სამშობლოში არის ადგილები, სადაც ჭლექი სოფლებშიაც ძლიერ ხშირია. ეს გახლავთ იმერეთი, სამეგრელო და კახეთი. ეს სწორედ ის ადგილებია, სადაც ძლიერ გავრცელებულია ციებ-ცხელება (მალიარია). ეს უკანასკნელი სნეულება ამგვარად, გარდა იმისა რომ თავის თავადაც დიდ ზიანს აყენებს ადამიანს და საშიშოა, აუძლურებს მას და ხელს უწყობს მის ჭლექით ავად გახდომას. ამიტომ საჭიროა საზოგადოებრივი ზომების მიღება ციებ-ცხელების წინააღმდეგ, რაც შესაძლებელია, ასასრულებელიც და ნაყოფიერიც, როგორც ამას კულტურულ ქვეყნების მაგალითი ჰმოწმობს. ეს საქმე უნდა იყოს ერობათა ხელში, მაგრამ საუბედუროდ ერობა ჩვენში ჯერაც ვერ განხორციელებულა.

ჩვენ ზევით გვქონდა ბაასი შესახებ იმ ზომებისა, რომელიც უნდა მიიღოს მთელმა სახელმწიფომ და საზოგადოებამ ამ საშინელის სენის შესამცირებლად. ეხლა გადავიდეთ იმაზე, თუ როგორ და სად უნდა სწარმოებდეს უკვე დაავადმყოფებულთა წამლობა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჭლექიანთა მორჩენა შესაძლებელია, თუ კი წამლობა დროზედ დაიწყო და თუ წამლობის დროს შესაფერი პირობებიც მიეცა ავადმყოფს—წმინდა ჰაერი და ნოყიერი საჭმელი. საუბედუროდ, ის წრეები საზოგადოებისა, სადაც უმეტესად მძვინვარებს ჭლექი, ხალხის უღარიბესი ნაწილი, სწორედ რომ მოკლებულია ამ ორ უმთავრეს პირობას. ამიტომ, საზოგადოებრივი დახმარებაა აქ საჭირო (სახელმწიფოთა, თვითმმართველობათა, საქველ-მოქმედო საზოგადოებათა). უცხოეთში ჭლექიან ავადმყოფთათვის არის სპეციალური სამკურნალო დაწესებულებანი, რომელთაც სანატორიუმებს უწოდებენ. ჩვეულებრივად ასეთ სანატორიუმებს აშენებენ ქალაქგარედ, სადაც კი შესაძლებელია მთა ადგილას, ფიჭნარსა და ნაძნარში, სადაც ჰაერი სუფთა არის და უმტვერო. სანატორიუმში ავადმყოფები თითქმის მთელს დღეს წმინდა ჰაერზედ ატარებენ და ღამეც ღია ფანჯრებიან ოთახში იძინებენ ავადმყოფები ძლიერ მალე ეჩვევიან ასეთ გარემოებას და არამც თუ არ სცივდებიან, პირიქით ძლიერ კარგად გრძნობენ თავსა. რაღა თქმა უნდა, ავადმყოფებს კარგად ასაზრდოვებენ და ამასთან ერთად ექიმებიც სწამლობენ. ასეთ სანატორიუმში ჭლექიანები ძლიერ მალე კარგადა ჰხდებიან: ასიდან 24 ავადმყოფი სრულიად რჩება და 42 კი იმდენად კარგად ჰხდება, რომ მუშაობას უბრუნდება კიდევ დიდი ხნით. რუსეთში ასეთი სანატორიუმი სულ ცოტაა. ჩვენში კი სულ არ არის. მხოლოდ „კავკასიის ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება" ახლა აშენებს აბასთუმანში ასეთ სანატორიუმს 120 ავადმყოფისათვის. გარდა სანატორიუმებისა ჭლექთან საბრძოლველად ძლიერ გამოსადეგი და საჭიროა ეგრედ წოდებული „**დისპანსერები**". დისპანსერებს უკვე ქალაქებში აღებენ. ეს პატარა სამკურნალოა, სადაც უფასოდ სწამლობენ ჭლექიანებს და გარდა ამისა ღარიბებს დახმარებას აძლევენ საჭმელით, რძით, კვერცხით და სხვა. ამ გვარ დისპანსერებთან არსებობს სამზრუნველოები, რომელნიც ათვალიერებენ ავადმყოფების ბინებს, გაიგებენ მის მდგომარეობას და სცდილობენ ცუდი პირობები კარგით შესცვალონ მატერიალური დახმარებით. დისპანსერების მნიშვნელობა დიდია, ვინაიდან ყველა ჭლექიანს შეუძლიან ქალაქში მას მიჰმართოს და იქ იწამლოს. სანატორიუმში კი ყველა ჭლექიანის დაბინავება შეუძლებელია, რადგან ამისთვის ძლიერ ბევრი სანატორიუმი იქნებოდა საჭირო. ჩვენში ასეთი დისპანსერი მხოლოდ ერთი წელიწადია რაც არსებობს ტფილისში, იმავე „კავკასიის ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების" მიერ არის დაარსებული და თუმცა ჯერ-ჯერობით არ არის ისე მოწყობილი, როგორც ეს საჭიროა, მაგრამ მაინც სარგებლობა მოუტანა ავადმყოფებს.

ეხლა გადავიდეთ იმაზე, თუ რა ზომები უნდა მიიღოს ადამიანმა ჭლექის ასაცდენად. აქ ჩვენ მოკლედ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ პირველი ადგილი უკავია ადამიანის აგებულობის გამაგრებას, ვინაიდან ვინც ჯანმრთელია და ჯანსაღი მას ჭლექიც ძვირად ემართება ხოლმე. ჯანმრთელობისათვის კი საჭიროა მშრალი და სინათლიანი სადგომი და კარგი საჭმელი უპირველესად ყოვლისა. შემდეგ ადამიანი უნდა შეეჩვიოს სიცივეს, რომ ხშირად არ გაცივდეს ხოლმე, ამიტომ გულ-მკერდი ყოველ დილით უნდა ცივი წყლით გაიწმინდოს და შემდეგ კარგად გაიმშრალოს. ყოველ დღე ცოტაოდენი დრო მაინც წმინდა ჰაერზე უნდა გაისეირნოს, მაგრამ ისე კი არა, რომ დაიღალოს. ვისაც ისეთი ხელობა აქვს, რომ სულ მუდამ ოთახში ზის, იგი კიდევ უფრო უნდა სცდილობდეს სეირნობას წმინდა ჰაერზე და განსაკუთრებით უნდა ისარგებლოს კვირა-უქმეებით. მათთვის კარგია წმინდა ჰაერზედ მოძრაობა და სხვა და სხვა გვარი მმოძრავი თამაში და გასართობები. ზედ მეტი მუშაობა, დამქანცავი ადამიანისა, არ ვარგა. შემდეგ ცუდია ღვინისა და არყის სმა და აგრეთვე თუთუნის წევა.

ჭლექისაგან თავის დაცვა შესაძლებელია, საჭიროა მხოლოდ გაფრთხილებაც იმასთან ერთად, რაც ზევით მოგახსენეთ. აქ ყველაზე წინეთ უნდა გავიხსენოთ, რომ უმთავრესს საფრთხეს ჭლექიანის ნახველი წარმოადგენს. ამ ნახველში მილიონობით არის ჭლექის ბაცილები. ამიტომ ჭლექიანმა პირდაპირ მიწაზე და იატაკზე კი არ უნდა დააფურთხოს, არამედ საფურთხებელი უნდა ჰქონდეს—სახლში ოთახისა და სახლ გარედ კიდევ ჯიბისა. ამ საფურთხებლებში ცოტაოდენი წყალი უნდა ესხას, რომ ნახველი არ მიახმეს. შემდეგ ნახველს-კირი უნდა დაასხან და კლოზეტში ჩაასხან, სადაც კანალიზაცია არის, სადაც არაა—იქ სჯობია ცეცხლში შეასხან და დასწვან, ვინაიდან ცეცხლი ჰკლავს ჭლექის ბაცილებს. ყოველ ისეთ ადგილს, სადაც კი ხალხი თავს იყრის, მაგალითად, თეატრებში, ეკლესიებში, სკოლებში, ქარხნებში და სხვა, საფურთხებლები უნდა იყოს დადგმული.

გარდა ნახველისა, საფრთხეს წარმოადგენს ჭლექიანთა საცვლებიც, ვინაიდან ისინი ავადმყოფის ოფლითა და ხშირად ნახველითაც არიან დასვრილნი, ამიტომ საჭიროა მათი ცალკე გარეცხვა და მასთან საპნიან ან ნაცარწმენდილიან წყალში გამოხარშვა.

ჭლექიანისათვის, სადაც კი ეს შესაძლებელია, ცალკე ოთახი უნდა იყოს მიჩენილი და ამ ოთახში სულ ცოტა და მასთან უბრალო-ხის-ავეჯეულობა უნდა იდგეს, რადგან ხის გაწმენდა-გასუფთავება ძლიერ ადვილია. ჭლექიანთან ერთად ოთახში ძილი და ღამის გათევა საშიშია. საშიშია აგრეთვე ჭლექიანის კოცნა. საერთოდ ჩვენში გავრცელებულია ბავშვების კოცნა ნათესავებისა და ყოველ ნაცნობების მიერაც. ეს ძლიერ ცუდი ჩვეულებაა, რომელსაც შეუძლიან ბავშვს ზიანი მიაყენეს და გადამდები სნეულება შეჰყაროს.

გარდა ამისა საშიშია ჭლექიან ძროხათა რძე. კულტურულ ქვეყნებში ყოველ ძროხას სინჯვენ ექიმები და მხოლოდ მათი სიმრთელის შემოწმების შემდეგ ეძლევათ უფლება მათ პატრონთ რძე გაჰყიდონ. ჩვენში ეს არ არის, საუბედუროდ, ჯერ-ჯერობით შემოღებული და ამიტომ ყოველთვის უნდა ვხმარობდეთ მხოლოდ ნადუღ რძეს. განსაკუთრებით საშიშია აუდუღარი რძე ბავშვთათვის, რომელნიც დედის ძუძუს მაგივრად ძროხის რძით საზრდოობენ, ვინაიდან მათი სხეული სუსტი და ჩვილია და მათ ჭლექიან ძროხათა რძის სმის საშუალებით ადვილად შეიძლება ჭლექი შეხვდეთ.

ექიმი შ. მიქელაძე.

ასთან? ამხედრების მიზეზი ავსტრიის დიპლომატიის სიმუხთლეაო.

ვენა. გაზეთები გვაუწყებენ მდგომარეობის შეუცვლელობას. ნახევრად ოფიციოზი „ვინერ-ალგემ.-ცეიტუნგი“ სწერს: ელჩთა თათბირის ხვალინდელი დადგენილება ვერ შესცვლის ავსტრიის გადაწყვეტილებას. ნიკოლოზ მეფემ თავის ნებით უნდა გაანთავისუფლოს სკუტარი, თორემ იგი იქიდან გადასახლებული იქნებაო.

ლონდონი. პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით წარჩინებულ პირებთან ბაასის შემდეგ გამოირკვა, რომ ინგლისის ხალხი აფასებს რუსეთის თავაზიან და მტკიცე საქციელს სკუტარის საკითხში. რუსეთის მიზანია ხელი შეუშალოს ევროპის კონცერტის დარღვევას, რადგანაც იგი ერთად-ერთი სალსარია ევროპის მშვიდობიანობისა. გავლენიანი გაზეთები თანაგრძნობით ეკიდებიან რუსეთის თავაზიან მოქმედებას. მმართველთა წრენი დაიმედებულნი არიან, რომ რუსის ერი დამშვიდებულის გულით მოუცდის საქმის ვითარების მსვლელობას, და მიუხედავად ჩერნოგორიისადმი სიმპატიისა გაჭირვებულ დროს არ შექმნიან მძიმე ატმოსფერას. რუსეთი ამ გვარ მოქმედებით მოგებული დარჩებაო.

სტამბოლი. დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა პორტას გადასცეს ნოტა, რომლითაც ატყობინებენ მოკავშირეთა თანხმობას საზავო პირობებზე; ისინი თანახმანი არიან დაითხოვონ ჯარი და დანიშნოს სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის დელეგატები. დიდი სახელმწიფონი წინადადებას აძლევენ პორტას, მიჰყვეს იგი მოკავშირეთა მაგალითს და დანიშნოს ადგილი სამშვიდობო მოლაპარაკების გასამართავად.

სომხეთის საპატრიარქოს საეროვნო საბჭომ მსჯელობა იქონია ანატოლიაში სომხეთა მდგომარეობაზე; სომხეთა საზოგადოების ზოგიერთი წევრნი მოითხოვდნენ პატრიარქის თანამდებობაზე დაუყონებლივ გადადგომას. ბოლოს გადასწყვიტეს—გაგზავნონ დელეგაცია პატრიარქის მეთაურობით დიდ ვეზირთან და უკანასკნელად გადასცენ ვრცელი მემორანდუმი; თუ პორტა ყურადღებას არ მიაქცევს ამას, პატრიარქი თანამდებობიდან გადადგება.

რომი. ბრინდიზიდან იტყობინებიან, რომ მოჰკლეს ნაზიმ-ბეი და მისი ადიუტანტი, როდესაც ისინი ბალონში გემში სხდებოდნენ. მკვლელნი აუჩქარებლივ მიეფარნენ. ბალონში სრული ანარქიაა. შეძრწუნებული ხალხი მოელის ჯავიდ-ფაშასაგან სისასტიკეს, იგი ბალონზე დაცემას აპირებს. იტალიის ელჩმა სთხოვა მთავრობას გაჰგზავნოს სამხედრო გემები იტალიელთა ინტერესების დასაცავად.

პრაგა. გაზეთ „ნაროდნი ლისტი“-ს ატყობინებენ ლონდონიდან: ლონდონში ჩეხთა მოსახლეობამ ჩერნოგორიის თანამგრძნობი მანიფესტაცია მოახდინა. გაიმართა მიტინგი.

პრაგა. დააჯარიმეს ჩეხელთა გაზეთები, რომელნიც ჰგმობდნენ ავსტრიის პოლიტიკას სკუტარის საკითხში, ჩეხელ სოციალისტთა გაზეთები მოითხოვენ პარლამენტის მოწვევას, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ვენის საომარ ქადაგებას.

სტამბოლი. ხაჯი-ადილმა არ მიიღო სომხეთა პატრიარქის დელეგაცია. ამან სომხეთა მღელვარება გამოიწვია. ხაჯი-ადილი თანამდებობიდან გადადგა; მის ნაცვლად დაინიშნა ჯემალ-ბეი, სტამბოლის სამხედრო გუბერნატორი.

ლონდონი. ელჩთა კონფერენცია დაიწყო 3 საათსა და 30 წუთზე და დასრულდა 5 და 55 წუთზე რეიტერის ცნობით, ინსტრუქციები, რომელიც მიეცა ჩერნოგორიის დელეგატს პოპოვიჩს, გადასწყვეტენ საკითხსო. ჩერნოგორია მზად იყო სკუტარი გაენთავისუფლებინა, თუ კი კომპენსაციას მიიღებდაო. სამი აზრი არსებობს იმის შესახება, თუ როგორ გაჰმართონ მოლაპარაკება ჩერნოგორიასთან. ავსტრიის აზრით, ჩერნოგორიამ დაუყონებლივ უნდა გაანთავისუფლოს სკუტარი; მეორეთა აზრით, ჩერნოგორიას უნდა ოფიციალურად ეცნობოს, დაჰმორჩილდეს დიდ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას და ამასთანავე ისიც, რომ იგი მიიღებს ტერიტორიალურ კომპენსაციას.

„ტაიმს“-ი სინანულს გამოსთქვამს ავსტრიის დამოუკიდებელ მოქმედების გადაწყვეტის გამო; ავსტრია თავს იდებს დიდ პასუხისმგებლობას, რაც მის ცხოვრების აუცილებლობას არ შეადგენსო. რამდენიმე დესეტინის გულისთვის, რომელიც თვით ავსტრიას არ ეკუთვნის, არა ღირს თავის თავიც და სხვა სახელმწიფონიც საშინელ ხიფათში ჩააგდოსო.

„ვესტმინსტერ გაზეტ“-ს იმედი აქვს რომ ავსტრიას შეიკავებს ბერლინი.

ვენა. „ნეის-ვინ.-თაგებლატი“ იუწყება, რომ იმპერატორმა ხვალისთვის მოიწვია საგანგებოდ საბჭო. გარდა მინისტრებისა ბჭობაში მონაწილეობას მიიღებენ ავსტრიის და ჰუნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტები.

სტამბოლი. პორტამ ავსტრიის ელჩს აცნობა, რომ ხვალ შეატყობინებს სამშვიდობო კონფერენციის დელეგატების გვარებსო.

სუფრაჟისტების მოძრაობა.

ლონდონი. სუფრაჟისტების 7 ხელმძღვანელი ქალი დილით დააპატიმრეს. პოლიციამ დაკეტა სუფრაჟისტთა კავშირის ბიურო. შეპყრობილნი სასამართლოში მიიყვანეს. მათ შეთქმულებაში მონაწილეობა ჰბრალდებათ. სასამართლომ დაადასტურა მათი დაპატიმრება.

პირველი მაისი პარიზში.

პარიზი. პირველმა მაისმა ქალაქში და პროვინციაში მშვიდობიანად ჩაიარა.

რუსეთი.

პეტერბურგი. რადგანაც ყალბი ცნობები გავრცელდა სამხედრო-სამკურნალო აკადემიის მსმენელთა რაოდენობაზე, აკადემიის უფროსი იტყობინება: აკადემიის დაკეტვამდე იყო 974 სტუდენტი, და 29 თავისუფალი მსმენელი; 17 აპრილამდე დათხოვნილ სტუდენტებისაგან უკანვე შევიდა 679 სტუდ., განხილული არ არის 15 სტუდენტის თხოვნა.

პეტერბურგი. გაზ. „ლუჩ“-ის რედაქტორი დეპ. პეტროვსკის სიტყვის მოყვანისთვის მიცემულია სასამართლოში 129 მუხლის ძალით.

პეტერბურგი. პირველ მაისის დღემ (ახ. სტილით) მშვიდობიანად ჩაიარა.

ლოძი. დაიჭირეს 300 ეგზემპლიარზე მეტი პროკლამაცია პირველ მაისისთვის გამოცემული.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ბ-ნი ბეგლარიძე 25 აპრილისთვის აპირობს, წარმოდგენა გამართოს ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მონაწილეობით. წარმოადგენენ ი. გედევანიშვილის პიესას „მსხვერპლს“.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) იასონ ჯორჯაძემ—ოთხი წვნიკი თეთრი ფული 2) ვასილ ჩახნაშვილმა—სპარსული თეთრი ფული. 3) თ. ვასილ მაჩაბელმა—ოთხი მხედრული ხელნაწერი: ა) ვახტანგ მე-VI ს სამართლის კრებული, მე-XIX-ე საუკუნისა, ბ) ამირან-დარეჯანიანი, 1790 წლისა, გ) „ჩარ-დავრიშიანი“, 1788 წლისა და დ) „აპოვთეგმატა“, ანუ სხვა და სხვა ფილოსოფოსებიდან ამონაკრეფი აზრები, 1762 წლისა. 4) თამარ იოსების ასულმა გვაბიჩავამ—ქართველ ქალის სურათი (ფერადებით ნახატი). 5) რაჟდენ ყარამანის ძემ დათეშიძემ: ა) ფოტოგრაფიული ალბომი ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისა, ბ) მაყაში (სპილენძისა) და გ) წერწერონი ქვის ბეჭედი. 6) ნიკოლოზ ივანეს ძემ ტურაშვილმა—თიხის ჭურჭელი: ა) ერთი პატარა სადღობელი, ბ) სამი პირგანიერი ქილა, გ) ვიწრო კოჭობი, დ) პაწია ცალყურა და ე) ნამტვრევები (ყველა ეს ნაპოვნია ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, საფლავში დუღაანთ ყურესთან) ეს ნივთები საზოგადოებას გადმოსცა გ. დაფქვიაშვილმა. 7) შაქრო მარიამულმა (სოფ. დიდმიდან)—ორი შავი ფული (ერთ გიორგი მე-XII სა). 8) ნინო ესტატეს ასულმა ეგაძისამ—ძველი რუსული მანეთიანი.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

წერილ. რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს თქვენს პატივცემულ გაზეთის უახლოებელეს ნომერში.

გაზეთ „მერცხლის“ № 18 შ. (მიმდინარე წელს) შემდეგი ხელმოუწერელი კორესპონდენცია იყო დასტამბული ჩემს შესახებ სად. ნახიჩევნიდგან:

„აქ ზოგიერთი მუშები იწერენ გაზეთ „მერცხალს“. ამას წინათ რკინის გზის შკოლის დარაჯს ამ გაზეთის კითხვაზე შემოესწრო ამავე შკოლის მასწავლებელი ნიკო მერაბაშვილი, რომელიც ქუჩური ლანძღვა-გინებით მივარდა მას და ერთხელ და სამუდამოთ აუკრძალა ამ გაზეთის კითხვა. თავის სახელოვან ქმარს თურმე არც მისი მეუღლე ჩამორჩება.

საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ დააყენა ეს ბატონები ჩვენი გაზეთის ცენზორათ, ან რა უფლება აქვთ მათ სხვას აუკრძალონ მისი კითხვა?“ (მართლწერა „მერცხლისა“ დაცულია).

ვინაიდან ეს კორესპონდენცია სიმართლეს სრულებით არ შეესაბამება, საშინელ ჩირქსა სცხებს ჩემს სახელს, ამის გამო მეორე დღესვე მე შესაფერი წერილი გავუგზავნე „მერცხლის“ რედაქციას და ვითხოვდი კორესპონდენტს ან თვით რედაქტორს სამედიატორო სამართალში. „მერცხალმა“ ჩემი წერილი არ დაბეჭდა და ამით საშუალება არ მომცა თავი მემართლა. ამ ამბის შემდეგ გავიდა სამი თუ ოთხი კვირა (დანამდვილებით არ მახსოვს), გაზეთი „მერცხალი“ დაიკეტა. გამოვიდა „დილა“ არც „დილა“-ში დაბეჭდილა ჩემი წერილი. ამრიგად ყოველი საშუალება მომესპო პრესის შემწეობით თავი მემართლა. („სახალხო გაზეთში“ ჩემი საპასუხო წერილის დაბეჭდვა უხერხული იყო). ყოველივე ამის შემდეგ მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს სხვა კანონიერ საშუალებას მივმართო.

უმორჩილესად ვთხოვ გაზეთ „კოლხიდის“ რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს.

სად. ნახიჩევნის რკინის-გზის სასწავლებლის
ზედამხედველი **ნიკო მერაბაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო!

გიგზავნით 20 მან. სასიქადულო მამულიშვილის არჩილ ჯორჯაძის ძეგლის ფონდისათვის მისამატებლად.

ამასთანავე ვაცხადებ, რომ განსვენებულ არჩილის სულის მოსახსენებლად გარდახდილ პანაშვიდზე დამსწრე საზოგადოებამ გაიღო 25 მან. 30 კაპ. (ვინც ხელი მოაწერა ყველასგან მივიღე, ზოგისგან შემდეგ).

აქედან ძვირფას გვამის შესამკობელ გვირგვინზე, დაიხარჯა 15 მან. 15 კაპ.

დანარჩენს წ. კ. საზ. თელავის განყოფილების გამგეობამ თავის კასიდან მიუმატა 10 მან. და სულ 20 მან. გეგზავნებათ ზემოდასახელებულ მიზნისთვის

წ. კ. საზ. თელავის განყ. გამგეობის ხაზინადარი **ვ. პაატაშვილი.**

ბატონო რედაქტორო!

გიგზავნით 10 მანეთს და 90 კაპ., შემოწირულს სტ. არხონკაში მყოფ ქართველებისაგან, ჩვენი უდროოდ დაკარგული და დაუვიწყარი საზოგადო მოღვაწის არჩილი ჯორჯაძის ძეგლის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად.

სია შემომწირველთა: გიორგი ხოშტარია 3 მან., ალექსი გობეჯიშვილი 1 მან. 50 კაპ., იოსები არუთინოვი 1 მან, გრიგოლი ძარიძე 1 მ., ბადუ ტატიევი 1 მან., ილიკო რეხვიაშვილი 50 კაპ., ალექსი რეხვიაშვილი 50 კაპ., კოტე ღუდუშაური 50 კაპ., აბრამი შავიშვილი 50 კაპ., გიორგი გელაძე 50 კაპ., მიხეილ შავიშვილი 50 კაპ., ლეონი მარტიროსოვი 20 კაპ., ბესარიონი მაისურაძე 20 კაპ. სულ 10 მან. 90 კ.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

გამოსადეგი ცნობა

გემების მიმოსვლა
(ზამთრობით)
15 ოქტომბრიდან,
შავ-ზღვაზე.
(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“
საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გ მი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკეთ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სა.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **გარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, სალ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, სალ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამშ.**, **პარ.** სალ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, სალ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“
საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე სალ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდან ორშ. და პარ. დილ. 6 ს. 50 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 6 ს. 44 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფოშინა-ოსიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0. 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის-ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გელბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. ზაგეროდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 785).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპურება
კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულაიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ღირსეულით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას

აქვს ორი საპრემიო თანხა: უგანათლებულესის თავადის გრიგოლ დადიანისა 4000 მანეთი და ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძისა 8669 მანეთი. თ-დ დადიანის სახელობის თანხის სარგებლიდან პრემიად მიეცემის 400 მანეთი ორ წელიწადში ერთხელ; ხოლო ნ. ბ. ლოლობერიძის სახელობის თანხის სარგებლიდან ყოველ წლობით 300 მანეთი.

1. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართულ ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიისა, ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადო თხზულებას საქართველოს შესახებ. თ-დ დადიანის სახელობის პრემიის მისაღებად წარმოდგენილი თხზულება უსათუოდ ქართულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი; ლოლობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად კი უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას, ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილ იქმნას რუსულსა და რომელიმე ევროპიულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენისა უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი, ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წარსულის ცხოვრებისა ან რომელსამე მის ეპოქისა, ბ) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა, გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია როგორც სრული, ისე რომლისამე ეპოქისა, დ) სამხედრო ისტორია, ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლების შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ქართული მწერლობის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლების ერთ-ერთი დარგის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე ერთის ან რამდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა, დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისამე კერძო ეპოქისა, ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

5. თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომლისამე ნაწილისა, ბ) შეგროვება და შესწავლა ან და გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენის სხვა და სხვა კილოკავებიდან, ხალხურ სიტყვიერებიდან, ცრუმორწმუნოებიდან, ზნე-ჩვეულებიდან, ფიზიკურ აგებულებიდან და სხვა და სხვა დარგებიდან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა—გამოსარკვევად: 1) ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულებისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამომავლობისა სხვა ერთა შორის.

შენიშვნა: საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ ზემოხსენებულ დარგიდან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახება.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) გამოკვლევა წარმართ-დროინდელი ქართული მუსიკისა, ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართული მუსიკისა, გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში **1 იანვრამდე** 1914 წლისა.

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთ-ნაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1910 წელზე ადრე გამოცემული. 1163

კბილის
ექიმი ა. გ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.



მექანიკური ნაწარმოები. 170.

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათო კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდ ს, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ 12—1 ს., სალ. 6—8 ს. **სიმონოვის ქ.**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სიმონ. ქ., № 16. 1159

შემთხვევით იყიდება
ღვინის სარდაფი
ხელმისაწვდომ ფასში. სარდაფი გამართულია. პატენტიც აღებულია. ოლღას ქუჩა, სახლი მაჩაბლისა, ნომერი 52. **გიორგი სესიევი.** 229

ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზოლას
„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“
ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.
დაკვეთა შეიძლება: ტფილისში ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნასუცრიშვილთან **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კავკავში**—მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტრო თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.
„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“ „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ზიზილალა
თევზის მრეწველნი
ძმ. ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი საკუთარი მრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქოტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მოხარშული ლოში, ზურგიელი, და ყოველგვარი

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა.“